583
1979/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (463)

1979 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (463) აგვისტო 1979 წელი

შინაარსი

განკოფილება პირველი

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე, 240-ე და 302-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. უჩანეიშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის რ. ი. მეტრეველის გაწვევის შესახებ.

237. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათ შესანახად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ.

განკოფილება მეორე

238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასვენების დაწესებულებების და მეურნეობების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. თენიეშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

241. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. სკლიფასოვსკისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

242. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. გ. ყუბანეიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

243. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების და დასვენების დაწესებულებების კოლექტივთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასვენების დაწესებულებებისა და მეურნეობების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ჯ. კვარჭელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ა. მასალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ნ. მესხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ნ. ჯაყელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ვ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

252. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ნ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინემატოგრაფიის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

234 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე, 240-ე და 302-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე, 240-ე და 302-ე მუხლებში და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 224. სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის ვადა

საკითხი სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლემ ან სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განმწესრიგებელ სხდომაზე არა უგვიანეს ხუთი დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე — არა უგვიანეს თოთხმეტი დღე-ღამისა სასამართლოში საქმის შემოსვლის დღიდან“.

„მუხლი 240. სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვის დაწყების ვადა

საქმის განხილვა სამსჯავრო სხდომაზე უნდა დაიწყოს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლის დადგენილების ან განმწესრიგებელი სხდომის განჩინების გამოტანიდან არა უგვიანეს ათი დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე — არა უგვიანეს თოთხმეტი დღე-ღამისა“.

„მუხლი 302. მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება

სასამართლო განაჩენს სათათბირო ოთახში ადგენს.

მოსამართლეთა თათბირისა და განაჩენის დადგენის დროს სათათბირო ოთახში შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც შედიან ამ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში. სხვა პირთა ყოფნა სათათბირო ოთახში დაუშვებელია.

დაღამებისთანავე სასამართლოს უფლება აქვს დასვენებისათვის შეწყვიტოს თათბირი.

მოსამართლეებს არა აქვთ უფლება გაახმაურონ მსჯელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თათბირისა და განაჩენის დადგენის დროს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 3 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

235 ამხ. თ. ი. უჩანეიშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. თენგიზ იასონის ძე **უჩანეიშვილი** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 10 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

236 ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის რ. ი. მეტრეველის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის რაჟდენ ისმაილის ძე მეტრეველის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის რ. ი. მეტრეველის გაწვევის შესახებ 1979 წლის 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 16 აგვისტო

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

237 1979 წლის გაზაფხულის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად გაზაფხულთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათ შესანახად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ინფორმაცია 1979 წლის გაზაფხულის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათ შესანახად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მდგომარეობის თაობაზე, **ადგენს:**

1. აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის ერთგვარი გაფართოებისა და მათთვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს; წლიდან წლამდე არ სრულდება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმები, აუთვისებელი რჩება ამ მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი; აღრიცხვაზე მყოფი სკოლამდელი ასაკის ბევრი ბავშვი დარჩენილია ამ დაწესებულების გარეშე.

2. მუდმივი კომისიის მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მხედველობაში იღებს რა საკითხის დიდ მნიშვნელობას, რჩევას აძლევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ საბჭოების დეპუტატთა და მუდმივი კომისიების ყურადღება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობისადმი, პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ მათი მატერიალური ბაზის და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის; აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღონ ზომები საბიუჯეტო ასიგნებათა დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოახსენოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის მეთერთმეტე სესიის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ 1980 წლის პირველ კვარტალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 24 აგვისტო.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

238 პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასვენების დაწესებულებების და მეურნეობების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და კურორტების შესახებ ლენინური დეკრეტის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის:

მედეა კონსტანტინეს ასულ **აბაშიძეს**—პროფკავშირთა აჭარის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „აჭარას“ სამედიცინო განყოფილების გამგეს.

ნელი ვიქტორის ასულ **არჯევანიძეს** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს ახალი ათონის კურორტის პოლიკლინიკის ექიმ-ნევროპათოლოგს.

ელენე იაკობის ასულ **გაჯიევას** — პროფკავშირთა აჭარის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „აჭარას“ ექიმ-ფსიქოთერაპევტს.

ემანუილ სამოელის ძე **დვალიშვილს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს საბაზო სანატორიუმ „ლიკანის“ მთავარი ექიმის მოადგილეს.

მიხეილ კლიმენტის ძე **ვადაჭკორიას** — პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მთავარ სპეციალისტ-თერაპევტს.

რენო კონსტანტინეს ძე **კაპანელს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს.

დავით არტემის ძე **კეთილაძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „მეტალურგის“ მთავარ ექიმს.

ოთარ გრამიტონის ძე **ლევიძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის გაგრის ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „მაიაკის“ მთავარ ექიმს.

ოთარ სიმონის ძე **მესხს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს პანსიონატ „ბახტრიონის“ მთავარ ექიმს.

შოთა გრიგოლის ძე **ნადარეიშვილს** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „სტროიტელის“ მთავარ ექიმს.

თინა ივანეს ასულ **სვანიძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „ელეზნოდოროჟნიკის“ ექიმ-სტომატოლოგს.

გიორგი კონსტანტინეს ძე **ფარცხალაძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს ბალნეოლოგიური დაწესებულების მთავარ ექიმს.

ნარგიზა ლევანის ასულ **შალიბაშვილს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „ფირუზას“ მთავარ ექიმს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის:

იური სიმონის ძე **არჩაიას** — პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს „საქგეოკაპტაჟმინწყლების“ მთავარი სამმართველოს უფროსს.

გრიგოლ ლევანის ძე **ბრელიძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის და ჰიდროგეოლოგიის განყოფილების გამგის მოადგილეს.

ილია ნესტორის ძე **კეპულაძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს ჰიდროგეოლოგიური სადგურის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერი პარმენის ძე **წულუკიძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს „საქგეოკაპტაჟმინწყლების“ მთავარი სამმართველოს მთავარ ჰიდროგეოლოგს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის:

შალვა სერაპიონის ძე **ბაბუნაშვილს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის უფროს ინსტრუქტორს.

გიორგი ივანეს ძე **გაჩეჩილაძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის გაგრის ტერიტორიული საბჭოს საბუხჰალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და საფინანსო კონტროლის განყოფილების გამგეს.

ივანე ილიას ძე **გვარამიას** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „ვოლგას“ მთავარ ბუხჰალტერს.

ქეთევან ვარლამის ასულ **ზურაბიშვილს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს საბუხჰალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების განყოფილების გამგეს.

ტატიანა სერგის ასულ **სმირს** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს პანსიონატ „ახალი ათონის“ პოლიკლინიკის მთავარ ბუხჰალტერს.

თალიკო სერგის ასულ **ღოღობერიძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს საბუხჰალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და საფინანსო კონტროლის განყოფილების გამგეს.

ელენე ივანეს ასულ **ჩიჩოვას** — პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს საბუხჰალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და საფინანსო კონტროლის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის:

პლატონ პადონის ძე **გაბლიას** — პროფკავშირთა კურორტების მართვის გაგრის ტერიტორიული საბჭოს ავტობაზის მძღოლს.

ალექსი იოსების ძე **იურკევიჩს** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს დასასვენებელი სახლის „აგუძერას“ მძღოლს.

ივანე აკიმის ძე **პოგორელოვს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს ავტობაზის მძღოლს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის:

მიხეილ გერასიმეს ძე **მეტრეველს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს საბაზო სანატორიუმ „დრუჟბას“ შეგზარეულს.

ივანე ილიას ძე **ნეკრასოვს** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „აფხაზეთის“ შეფ-მზარეულს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ვალიკო პახვალის ძე **კაკუბავას** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს ექსპლუატაციის განყოფილების გამგეს.

კონსტანტინე გრიგოლის ძე **კვერნაძეს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს „საქგეოკაპტაჟმინწყლების“ მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

თენგიზ გიორგის ძე **კიკნაძეს** — კურორტ ბიჭვინთის პანსიონატთა გაერთიანების საექსპლუატაციო-ტექნიკური სამმართველოს უფროსს.

რამინ ესტატეს ძე **ყურაშვილს** — პროფკავშირთა კურორტების მართვის გაგრის ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

გალინა დიმიტრის ასულ **ბენიას** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილეს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის:

მინადორა დავითის ასულ **აიბას** — სოხუმის პოლიკლინიკების გაერთიანების ბალნეოლოგიური სამკურნალოს უფროს მედდას.

ლოლა ილარიონის ასულ **გაგუას** — სანატორიუმ „აჭარას“ მედდას.

გულიკო დურსუნის ასულ **გამარჯობაძეს** — სანატორიუმ „ქობულეთის“ მედდას.

დისპინე კონსტანტინეს ასულ **გერიას** — კურორტ ახალი ათონის პოლიკლინიკა-პანსიონატის მედდას.

ვენერა ეგნატეს ასულ **დეიბას** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „აფხაზეთის“ მედდას.

ლიდია თევდორეს ასულ **დენისიუკს** — კურორტ ახტალის პოლიკლინიკის მასაჟისტს.

სუსანა პავლეს ასულ **პომაზანოვას** — გუდაუთის კურორტის პოლიკლინიკის მედდას.

თამარ რომანოზის ასულ **ტაბიძეს** — კურორტ წყალტუბოს ბალნეოლოგიური სამკურნალოს მედდას.

გალინა ილიას ასულ **უსოვას** — კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „შახტიორის“ მედდას.

მარგარიტა ანტონის ასულ **ქაჯაიას** — კურორტ მენჯის სანატორიუმ „კოლხეთის“ ლაბორანტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ლევანის ძე **ქირიას** — კურორტ ცაიშის საბაზანო განყოფილების ფერშალს.

ოლღა ალექსანდრეს ასულ **შუბითიძეს** — სოხუმის საკურორტო-საპოლიკლინიკო გაერთიანების ბალნეოლოგიური სამკურნალოს უფროს მედდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 3 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

239 რესპუბლიკის გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

გამოგონებათა შესახებ ლენინური დეკრეტის მე-60 წლისთავთან და გამომგონებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის:

შერმაზან დიმიტრის ძე **კაკიჩაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

ვლადიმერ გრიგოლის ძე **ტყეშელაშვილს** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველს.

სერგი ივანეს ძე **წულაიას** — ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო „პროექტხელსაწყოს“ პროექტის მთავარ კონსტრუქტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის:

ენვერ შაბანის ძე **არსიას** — ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის უბნის უფროს **ოსტატს.**

რუზანა გრიგოლის ასულ **ბაბაიანს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადირს.

ავთანდილ ნიკოლოზის ძე **გულიაშვილს** — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს საამქროს ოსტატს.

პავლე დემიანის ძე **დრობკოს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ნაწილის მემრუდთარგე ზეინკალს.

დიმიტრი ილიას ძე **კულიკს** — სოხუმის საზღვაო სავაჭრო პორტის უფროს მექანიკოსს.

ჯუმბერ ვლადიმერის ძე **მგელაძეს** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს უფროსს.

ალექსანდრე ივანეს ძე **სამადაშვილს** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 ამხ. მ. თ. თენიეშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საფეიქრო დარგის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს ამხ. მამია თევდორეს ძე **თენიეშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

241 ამხ. ლ. ნ. სკლიფასოვსკისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიის გამგეს ამხ. ლევ ნიკოლოზის ძე **სკლიფასოვსკის** მიენიჭოს **საქართველოს სსრ კულტურის** დამსახურებული მუშაკის **საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

242 ამხ. ტ. გ. ყუბანეიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. ტატიანა გრიგოლის ასულ **ყუბანეიშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

243 პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების და დასვენების დაწესებულებების კოლექტივთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის, ავადმყოფთა და დამსვენებელთა სანიმუშო მომსახურებისათვის და კურორტების შესახებ ლენინური დეკრეტის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს საბაზო სანატორიუმ „დრუჟბას“ კოლექტივი;

პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „შახტიორის“ კოლექტივი;

პროფკავშირთა კურორტების მართვის გაგრის ტერიტორიული საბჭოს სანატორიუმ „მაიაკის“ კოლექტივი;

პროფკავშირთა კურორტების მართვის აფხაზეთის საოლქო საბჭოს კურორტ ბიჭვინთის პანსიონატთა გაერთიანების კოლექტივი;

პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს სანატორიუმ „აჭარას“ კოლექტივი;

პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიული საბჭოს საბაზო სანატორიუმ „ლიკანის“ კოლექტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 3 აგვისტო.

244 პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასვენების დაწესებულებებისა და მეურნეობების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და კურორტების შესახებ ლენინური დეკრეტის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

არდა მინტატოს ასული **ახბა** — კურორტ ბიჭვინთის პანსიონატთა გაერთიანების პანსიონატ „კოლხეთის“ გამგე.

თინა გრიგოლის ასული **ბოხუა** — ექიმი, სანატორიუმ „ცაიშის“ განყოფილების გამგე.

გულნარა იოსების ასული **გიორხელიძე** — კურორტ წყალტუბოს საბაზო სანატორიუმ „დრუჟბას“ უფროსი მედდა.

გიორგი ვასილის ძე **ზავრაშვილი** — —კურორტ ახტალის დირექტორი, სანატორიუმ „ალაზნის“ მთავარი ექიმი.

გიორგი პლატონის ძე **თუზბაია** — კურორტ ცაიშის დირექტორი, სანატორიუმ „ცაიშის“ მთავარი ექიმი.

ვიქტორ ბაგრატის ძე **კაცია** — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ნინო ილიას ასული **კობახიძე** — კურორტ გაგრის პანსიონატ „ნეფტიანიკის“ მთავარი ექიმი.

ანტონინა ივანეს ასული **სიომინა** — გაგრის დამხმარე მეურნეობის მუშა.

გივი გრიგოლის ძე **ღვინჯილია** — კურორტ მენჯის დირექტორი, სანატორიუმ „კოლხეთის“ მთავარი ექიმი.

მარინე ვასილის ასული **ხეთაგუროვა** — კურორტ ჯავის დირექტორი, სანატორიუმ „ძაუს“ მთავარი ექიმი.

აპოლონ სარდიონის ძე **ჯიმშელეიშვილი** — კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „თბილისის“ დურგალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 3 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

245 ამხ. ვ. ჯ. კვარჭელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ამხ. ვლადიმერ ჯგონატოს ძე **კვარჭელია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

246 ამხ. თ. ა. მასალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. თევდორე ანტონის ძე **მასალოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

247 ამხ. დ. ნ. მესხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის სტამბის მემორიალური მუზეუმის გამგე ამხ. დურმიშხან ნიკოლოზის ძე **მესხი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

248 ამხ. ი. ნ. ჯაყელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი ამხ. თენგიზ ნიკოლოზის ძე ჯაყელი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

249 ამხ. ა. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ალექსანდრე ილარიონის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 13 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

250 ამხ. კ. ვ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, 780 ათასი კილოვატის სიმძლავრის პირველი რიგის საექსპლუატაციოდ წარმატებით გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კლიმენტი ვარლამის ძე **ჯანჯღავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 13 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

251 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შრომის პირობების გაჯანსაღების, რესპუბლიკის მშრომელთა შორის საერთო და პროფესიულ დაავადებათა შემცირების საქმეში, აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 50-ე წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1979 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

252 ამხ. ლ. ნ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ამხ. ლევან ნესტორის ძე აბაშიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

253 კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და კინოფიკაციის და კინოგაქირავების სისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაში აქტიური მუშაობისათვის, საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

ფელიქს მიხეილის ძე **ვისოცკის** — კინოოპერატორს.
იმედი ვლადიმერის ძე **კახიანს** — მსახიობს.
ლევან გიორგის ძე **პაატაშვილს** — კინოოპერატორს.
გურამ ვასილის ძე **პატარაიას** — კინორეჟისორს.
ლანა ლევანის ასულ **ღოღობერიძეს** — კინორეჟისორს.
ზურაბ ვასილის ძე **ქაფიანიძეს** — მსახიობს.
არიადნა ვსევოლოდის ასულ **შენგელაიას** — მსახიობს.
ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაიას** — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

ლია დავითის ასულ **კაპანაძეს** — მსახიობს.
ივანე ნიკოლოზის ძე **საყვარელიძეს** — მსახიობს.
გივი (გურამ) ნიკოლოზის ძე **ფირცხალავას** — მსახიობს.
ვასილ ისაკის ძე **ჩხაიძეს** — მსახიობს.
გრიგოლ ალექსანდრეს ძე **წიტაიშვილს** — მსახიობს.
ბადურ სოკრატის ძე **წულაძეს** — მსახიობ-რეჟისორს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

ოთარ დავითის ძე **აბესაძეს** — კინორეჟისორს.
იგორ ვლადიმერის ძე **ამასიისკის** — კინოოპერატორს.
ოთარ კონსტანტინეს ძე **ანდრონიკაშვილს** — კინორეჟისორს.
ლომერ ბიძინას ძე **ახვლედიანს** — კინოოპერატორს.
იური შერმანის ძე **ბარამიძეს** — კინოოპერატორს.
რევაზ ლევანის ძე **გაბრიაძეს** — კინოდრამატურგს.
პეტრე პეტრეს ძე **გრუზინსკის** — კინოდრამატურგს.
ოთარ სოფრომის ძე **გურგენიძეს** — კინორეჟისორს.
გივი ერასტის ძე **დვალიშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ რედაქტორს.
რევაზ სიმონის ძე **ებრალიძეს** — კინოდრამატურგს.
ოლღა ვარდენის ასულ **თაბუკაშვილს** — კინომცოდნეს.
ოთარ დავითის ძე **იოსელიანს** — კინორეჟისორს.
ვალერიან ივლიანეს ძე **კვაჭაძეს** — კინორეჟისორს.
მერაბ არჩილის ძე **კოკოჩაშვილს** — კინორეჟისორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ დავითის ძე **ლავრელაშვილს** — კინორეჟისორს.
აბესალომ შალვას ძე **მაისურაძეს** — კინოოპერატორს.
ყარამან გიორგის ძე **მგელაძეს** — კინორეჟისორს.
გივი პეტრეს ძე **მელქაძეს** — კინოოპერატორს.
ვახტანგ ევგენის ძე **მიქელაძეს** — კინორეჟისორს.
ლევან ნაფტალის ძე **ნამგალაშვილს** — კინოოპერატორს.
თენგიზ ანდრიას ძე **ნოზაძეს** — კინორეჟისორს.
ირაკლი ივანეს ძე **ონოფრიშვილს** — კინოოპერატორს.
გურამ გრიგოლის ძე **უვანიას** — კინორეჟისორს.
გივი ვიქტორის ძე **რაჭველიშვილს** — კინოოპერატორს.
ანზორ სერგის ძე **სალუქვაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებითი გაერთიანების მთავარ რედაქტორს.
მიხეილ ალექსანდრეს ძე **სალუქვაძეს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის მთავარ რედაქტორს.
რამაზ ბორისის ძე **შარაბიძეს** — კინორეჟისორს.
გიორგი ნიკოლოზის ძე **შენგელაიას** — კინორეჟისორს.
პავლე ლევის ძე **შნაიდერს** — კინორეჟისორს.
იოსებ ალექსანდრეს ძე **ჩხაიძეს** — კინორეჟისორს.
კორინა დავითის ასულ **წერეთელს** — კინომცოდნეს.
გენადი იასონის ძე **წულაიას** — კინორეჟისორს.
ამირან ვალერიანის ძე **ჭიჭინაძეს** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორს.
გია დავითის ძე **ჭუბაბრიას** — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის:

რევაზ ივანეს ძე **მირზაშვილს** — მხატვარს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის

ვასილ ვარლამის ძე **არაბიძეს** — მხატვარს.
გიორგი ამირანის ძე **კასრაძეს** — მხატვარს.
მიხეილ ათანასეს ძე **მედნიკოვს** — მხატვარს.
მიხეილ სოლომონის ძე **სეხნიაშვილს** — მხატვარს.
ლუის ალვარეს **ფერნანდესს** — მხატვარს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

აზა გიორგის ასულ **ბახტაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უბნის უფროსს.

ალექსანდრე დომენტის ძე **გურგენიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ ინჟინერს.

ვალენტინა დანიელის ასულ **რომანოვას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **სიგუას** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოო სამმართველოს უფროსს.

მიხეილ პავლეს ძე **ქუთათელაძეს** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

ანასტასია გერასიმეს ასულ **ღვაბერიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროს ეკონომისტს.

ეუეუნა გიორგის ასულ **ცქიმანაურს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის უფროს ეკონომისტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის:

ანა გიორგის ასულ **ალიხანოვას** — საქაროველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მთავარ ბუხჰალტერს.

თამარ სერაფიონის ასულ **ანთაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბუხჰალტერს.

ნადეჟდა ანტონის ასულ **კალანდარიშვილს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის უფროს ბუხჰალტერს.

ირინე მიხეილის ასულ **კუდინას** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის უფროს ეკონომისტს.

გუშარა გაბრიელის ასულ **მცხვედაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროს ბუხჰალტერს.

მერი ვასილის ასულ **სვანიძეს** — აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ ბუხჰალტერს.

ანა ნიკოლოზის ასულ **ცაკიაშვილს** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროს ბუხჰალტერს.

მერი სერაფიონის ასულ **წულაიას** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროს ბუხჰალტერს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

თამარ პეტრეს ასულ **ალხანიშვილს** — კინოოპერატორს.

გურამ იოსების ძე **ბარნაბიშვილს** — მხატვარ-გრიმიორს.

იოსებ გიორგის ძე ბარნაბიშვილს — მხატვარ-გრიმიორს.

ევგენია ივანეს ასულ **ბეუანოვას** — მემონტაჟეს.

გერმან დავითის ძე **გვენეტაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილეს.

ოფელია ვაგანის ასულ **გევორქიანს** — მემონტაჟეს.

ანატოლი კონსტანტინეს ძე **დბარს** — ქ. სოხუმის კინოთეატრ „აფსნის“ უფროს კინომექანიკოსს.

ლამარა ბესარიონის ასულ **დევდარიანს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საამქროს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გიორგის ასულ **დოლიძეს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის უფროს რედაქტორს.

პიმენ სიმონის ძე **დონაძეს** — ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსის კინოთეატრის კინომექანიკოსს.

იგორ ლევის ძე **დიშელს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

ლუსია ოჰანესის ასულ **ვართიკიანს** — მემონტაჟეს.

ლევან ვლადიმერის ძე **ვეშაპიძეს** — საჩხერის კინოთეატრის ადმინისტრატორს.

ნინო სიმონის ასულ **კარდანახიშვილს** — მემონტაჟეს.

ივანე გიორგის ძე **კვირიკაშვილს** — კინოგაქირავების ახალციხის განყოფილების დირექტორს.

შოთა სიმონის ძე **კილაძეს** — კინოოპერატორს.

კოზეტა გიორგის ასულ **კოტრიკაძეს** — მემონტაჟეს.

შოთა გიორგის ძე **ლაფერაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფილმის დირექტორს.

ოთარ ვლადიმერის ძე **ლომთათიძეს** — კინომექანიკოსთა სკოლის დირექტორის მოადგილეს.

გივი ზაქარიას ძე **მარგიშვილს** — მხატვარ-დეკორატორს.

ვაჟა პარმენის ძე **მაჩაიძეს** — ხმის ოპერატორს.

გიორგი სტეფანეს ძე **მიმინოშვილს** — კინოთეატრ „სოხუმის“ ტექნიკურ ხელმძღვანელს.

თენგიზ მიხეილის ძე **ნანობაშვილს** — ხმის ოპერატორს.

ლამარა გერონტის ასულ **ნასარიძეს** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდისტს.

ლარისა ნიკოლოზის ასულ **ოტრადინსკაიას** — მემონტაჟეს.

ბორის მიხეილის ძე **პაპაის** — ქ. ბათუმის კინოთეატრ „ინტერნაციონალის“ ტექნიკურ ხელმძღვანელს.

ამირან ბესარიონის ძე **რამიშვილს** — მახარაძის კინოთეატრის დირექტორს.

შოთა ივანეს ძე **რეხვიაშვილს** — ბოლნისის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს

მიხეილ იზრაილის ძე **სიმხაევს**— კინორეჟისორს.

ლია ალექსანდრეს ასულ **სოხაძეს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინოფოტოდოკუმენტების განყოფილების გამგეს.

გენადი ივანეს ძე **სტოევს** — აფხაზეთის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

სერგი დავითის ძე **ტაბატაძეს** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველოს უფროსს.

ზურაბ რაჟდენის ძე **ყუფარაძეს** — საქართველოს სსრ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორს.

ირინე სერგის ასულ **შავიშვილს** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ვლადიმერის ასულ **ჩირიკბაიას** — გაგრის კინოთეატრის კინომექანიკოსს.

ჯუმბერ იოსების ძე **ცეცხლაძეს** — ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონსაბჭოს აღმასკომის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების განყოფილების გამგეს.

ლევან გალაქტიონის ძე **ცინცაძეს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის უფროს რედაქტორს.

იური კონსტანტინეს ძე **ციციშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" საამქროს უფროსს.

ოთარ აბესალომის ძე **ცომაიას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" განყოფილების უფროსს.

ბორის კირილეს ძე **ცხაკაიას** — მხატვარ-დეკორატორს.

ირაკლი ერასტის ძე **ჭავჭანიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რედაქტორს.

რევაზ ვლადიმერის ძე **ჭიჭინაძეს** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ფილმის დირექტორს.

ვარლამ ალექსანდრეს ძე **ხუროძეს** — წულუკიძის რაიონის კინოქსელის კინომექანიკოსს.

რაისა ალექსის ასულ **ჯინჯუას** — ქ. გუდაუთას უფროს კინომექანიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 31 აგვისტო

254 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინემატოგრაფიის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინემატოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

გიორგი დავითის ძე **ბადრიძე** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რედაქტორი.

ალიონა ვასილის ასული **დარახველიძე** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რედკოლეგიის წევრი.

ვლადიმერ ეგორის ძე **ვალიშვილი** — კინორეჟისორი.

ბორის აკიმის ძე **ვართანოვი** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

ლარისა მიხეილის ასული **იმნაძე** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე.

რევაზ აკაკის ძე **კვესელავა** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პირველი შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორი.

ნოდარ იოსების ძე **კუსრაშვილი** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გადამღები ტექნიკის საამქროს უფროსი.

თეიმურაზ ირაკლის ძე **მეგრელიშვილი** — კინოოპერატორი.

ავთანდილ გიორგის ძე **სულთანიშვილი** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის საამქროს უფროსი.

მარიამ დავითის ასული **ქართველიშვილი** — ვანის რაიონის კინოფიკაციის დირექტორი.

ვლადიმერ გიორგის ძე **ქიქოძე** — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორის მოადგილე.

შალვა ალექსის ძე **შიოშვილი** — კინოოპერატორი.

შალვა თადეოსის ძე **ჩაგუნავა** — კინორეჟისორი.

გუგული ნიკოლოზის ასული **ციციშვილი** — შემოქმედებითი სახლის „ბიჭვინთის“ დირექტორი.

თინათინ ვასილის ასული **ჩახნაშვილი** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოსტუმერი.

ჭოლა მოსეს ძე **ჭყონია** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე.

შალვა იოსების ძე **ხომერიკი** — კინორეჟისორი.

ანზორ აკაკის ძე **ჯულელი** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაერთიანება „დებიუტის“ მთავარი რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 31 აგვისტო

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1979 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჯ. გოგინაშვილის ინფორმაცია რაიონში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ სიღნაღის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს გაწეული მუშაობის მიუხედავად სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შემთხვევები, როცა სასოფლო საბჭოების სესიები დაბალ დონეზე ტარდება. ანაგის, საქობოს და ძველი ანაგის სასოფლო საბჭოების აღმასკომები სესიებისათვის საკითხების მომზადებაში სუსტად აბამენ მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს.

რაიონული და ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების პრაქტიკაში არ არის დანერგილი სესიების გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და მათი შესრულების მიმდინარეობის თაობაზე წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციების მოსმენა.

ბევრ სასოფლო საბჭოში დეპუტატები არ იყენებენ კონტროლის ისეთ საშუალებას, როგორიცაა სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენება.

ზოგიერთი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი ყოველთვის ვერ უწევს კონტროლს მათ ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების საქმიანობას, ურიგდება მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რაიონში არადამაკმაყოფილებლად სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების და თვითღირებულების შემცირების გეგმები. მაღალია სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება, განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგში.

რაიონში კვლავ შეინიშნება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სუსტი კონტროლისა და დაბალი მომთხოვნელობის შედეგად არ შესრულებულა რაიონული საბჭოს სესიების გადაწყვეტილებები ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე.

ნაკლოვანებანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი ნაკლებ დახმარებას უწევს საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საქმიანობის სრულყოფაში, არ განაზოგადებს სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკას. სუსტია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

*

* *

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს სსრ ქალაქების ჰაერის აუზის გამაჯანსაღებელი სამუშაოების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მიუხედავად ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის შემცირებისათვის სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელთა მიერ მიღებული ზომებისა რესპუბლიკის ქალაქებში ჰაერის აუზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ არის უზრუნველყოფილი.

ბუნების დამცველი სამუშაოების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებების შედეგად რესპუბლიკის რიგი ქალაქების ჰაერის აუზში აღინიშნება ცალკეული ინგრედიენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრირების გადამეტება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აირგამწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარებით ატმოსფეროს გაბინძურების წყაროების აღჭურვის, არსებული დანადგარების მუშაობის ეფექტიანობის სრულყოფის, აგრეთვე მავნე გამონაბოლქვის შესამცირებლად სხვა ღონისძიებების დროულად განხორციელების საკითხებს; მაგალითად: ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზესტაფონში, კასპში.

შექმნილი მდგომარეობა იმითაცაა განპირობებული, რომ აღნიშნული ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის შესამცირებლად სამრეწველო საწარმოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის და კასპის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— შეისწავლონ და აღმასკომების და შესაბამისი მუდმივი კომისიების სხდომებზე განიხილონ ამ ქალაქების ჰაერის აუზის გამაჯანსაღებელი სამუშაოების მდგომარეობა; დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

— პერიოდულად მოისმინონ ატმოსფეროს გაბინძურების წყაროების მქონე სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიში მავნე გამონაბოლქვის შესამცირებლად გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა დასახული ღონისძიებების დროულად განხორციელებისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აირგამწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების გაუმართაობის მიზეზებს და მათი მუშაობის არაეფექტიანობას, აგრეთვე დანადგარების ნორმალური მუშაობის დროულად უზრუნველყოფას; იმ კადრების სწორად შერჩევასა და მათ სწავლებას, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ დანადგარებს.

— განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ ატმოსფეროს გაბინძურების წყაროების მქონე სამრეწველო საწარმოებში შეიქმნას დეპუტატთა საგუშაგოები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ქალაქის ჰაერის აუზში მავნე გამონაბოლქვის შემცირებას;

— სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გაითვალისწინონ სამრეწველო საწარმოებში ბუნების დამცველი სამუშაოების ორგანიზაციის მდგომარეობა.

■

■ ■

პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საკითხები: მრავალშვილიანი დედების „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენისა და „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოების შესახებ, საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების თაობაზე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 188 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის	ლენინის	რაიონიდან . . . 3
„	ორჯონიკიძის	„ 6
„	26 კომისრის	„ 2
ქ. რუსთავიდან		 4
ქ. ფოთიდან		 1
ქ. ჭიათურიდან		 3
ადიგენის	რაიონიდან	 8
ახალციხის	„	 4
ახმეტის	„	 3
ბოგდანოვკის	„	 2
ბოლნისის	„	 27
გარდაბნის	„	 9
გურჯაანის	„	 2
ზესტაფონის	„	 10
ზუგდიდის	„	 5
მაიაკოვსკის	„	 3
მარნეულის	„	 10
მახარაძის	„	 6
მესტიის	„	 6
მცხეთის	„	 4
საგარეჯოს	„	 25
სამტრედიის	„	 6
ქარელის	„	 5
ყვარლის	„	 14
ჩოხატაურის	„	 4
ჩხოროწყუს	„	 1
ცხაკაიას	„	 2
წალკის	„	 12
წულუკიძის	„	 1

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 3130 კაცი:

ქ. თბილისის	ლენინის	რაიონიდან . . . 262
„	კალინინის	„ 82
„	ორჯონიკიძის	„ 102
„	ოქტომბრის	„ 116
„	26 კომისრის	„ 127
„	საქარხნო	„ 139
ქ. გორიდან		 12
ქ. ზუგდიდიდან		 43
ქ. რუსთავიდან		„ 20
ქ. ფოთიდან		 81
ქ. ქუთაისის	ავტოქარხნის	რაიონიდან . . . 96
ახმეტის		რაიონიდან 85
ადიგენის		„ 28
ამბროლაურის		„ 39
ბოგდანოვკის		„ 6
ბოლნისის		„ 24
ბორჯომის		„ 30
გეგეჭკორის		„ 274
ვანის		„ 40
თეთრი წყაროს		„ 26
ლანჩხუთის		„ 12
მარნეულის		„ 6
მახარაძის		„ 109
მცხეთის		„ 18
ორჯონიკიძის		„ 157
სმტრედიის		„ 135
საჩხერის		„ 140
ქარელის		„ 9
ყვარლის		„ 35
ჩხოროწყუს		„ 18
წალენჯიხის		„ 21
წითელწყაროს		„ 622
ხობის		„ 134